სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №4

ქ. მარნეული **„27“„იანვარი“ 2020 წ.**

ერთის მხრივ, სსიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ კასუმლოს საჯარო სკოლა (ს/კ 234223097), მისი დირექტორის მამედ მირზაევის სახით და მეორეს მხრივ, ი/მ “აკრემ გახრამანოვი“ (ს/კ 28001022202) შემდგომში - „მიმწოდებელი”, წარმოდგენილი აკრემ გახრამანოვი სახით, ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები“, სახელმწიფო შესყიდვების კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის თანახმად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში -„ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“- საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი“- პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელწიფო შესყიდვის შესახებ.
1.6. „მხარე“ – „შემსყიდველი“ ან/და „მიწოდებელი“.
1.6. „საქონელი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს:
CPV **30200000** - კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები.
CPV**50300000** - პერსონალური კომპიუტერების, საოფისე აპარატურის, სატელეკომუნიკაციო და აუდიოვიზუალური მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მათთან დაკავშირებული მომსახურებები.
*CPV **22800000** - ქაღალდის ან მუყაოს სარეგისტრაციო ჟურნალები/წიგნები, საბუღალტრო წიგნები, ფორმები და სხვა ნაბეჭდი საკანცელარიო ნივთები*

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 800 (რვა ასი) ლარს.
3.2.ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. საქონლის ფასის და ანგარიშების პირობები

4.1 „მიმწოდებელთან“ ანგარიშწორება ხორწიელდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
4.2. ანგარიშწორება განხორციელდება მხარეთა მიერ „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დამადასტურებელი შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტისა და სასაქონლო ზედდებულის საფუძველზე.
4.3. ანგარიშწორების ვადა: 4.2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 კალენდარული დღე.

5. მიღება–ჩაბარების წესი

5.1. „მიმწოდებლის“ მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტზე ხელმოწერის დღიდან.
5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება–ჩაბარების აქტზე ხელს აწერს სსიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ კასუმლოს საჯარო სკოლის დირექტორი მამედ მირზაევი, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან ი/მ “აკრემ გახრამანოვი“
5.3. მიღება–ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს:

ა) „მიმწოდებლის“ მიერ შესრულებული ვალდებულების დასახელება;
ბ) „მიმწოდებლის“ მიერ შესრულებული ვალდებულების ღირებულება;

გ) „მიმწოდებლის“ მიერ შესრულებული ვალდებულების აღწერა;

6. საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი

6.1. საქონლის მიწოდების ადგილად განისაზღვრება მარნეულის რაიონი, სოფ. კასუმლო.
6.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება სასაქონლო ზედდებულებასთან ერთად.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს „მიმწოდების“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
ბ) არ ჩაიბაროს რაოდენობრივად, ხარისხობრივად ან უფლებრივად ნაკლული საქონელი.
7.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ მხრიდან ხელშეკრულების საგნით ნაკისრი, შესრულებული ვალდებულების ღირებულების ანაზღაურება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
7.3. მიმწოდებული უფლებამოსილია:
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულების საგნით ნაკისრი, შესრულებული ვალდებულების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
7.4. მიმწოდებული ვალდებულია:
ა) სრულიად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ კასუმლოს საჯარო სკოლის დირექტორი მამედ მირზაევი.
8.2. ინსპექტირების გამწევის ფუნქციები:
ა) „მიმწოდებელის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმება.
ბ) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელთან“ ანგარიშწორების პროცესის რეგულირება.
გ) „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი შესრულებული ვალდებულების ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევია ფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამო სწორება ხდება „მიმწოდებლის“ მიერ საკუთარი ხარჯებით.
8.3. „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის არმოფხვრათან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშერულების პირობების შეუსრულებლობისათვის.

9.1. „მომწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%–ის ორდენობით.
9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ყირებულების 1%–ის, შემსყიდველი იტოვებისუფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვიტოს გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით „მიმწოდებლისათვის“ გადასახდელი თანხიდან.
9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრლებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისიწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილო წესით.
10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.
10.4. ხელშეკრულების ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5. მხარე ვალდებულია 10.4. პუნქტით გადვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეტყობინოს მეორე მხარეს.
10.6. ხელშეკრულება ასევა შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფულძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1. მხარეები თავისფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვერული ვალდებულებების შეუსრულებლობით გაწელი პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეული ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
11.2. თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალკენდარული დღის აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მეორე მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყების წესი

12.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისადან.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების დასაწყისში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
სსიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ კასუმლოს საჯარო სკოლა ს/კ 234223097 სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22 ა/ა: GE19LB0121111070537000 LEPL Marneuli Municipality Village Kasumlo Public School Digitally signed by LEPL Marneuli Municipality Village Kasumlo Public School Date: 2020.01.27 09:53:25 +04'00'	ი/მ „აკრემ გახრამანოვი“ მისამართი: ქ. მარნეული, რუსთაველის ქუჩა 66 ს/კ 28001022202 სს „ტერაბანკი“ ბ/კ TEBAGE22 ა/ა GE39KS0000000360120860
სკოლის დირექტორი: მამედ მირზაევი _____	ი/მ „აკრემ გახრამანოვი“ _____ Digitally signed by Akrem Gakhramanov Date: 2020.01.27 11:13:41 +04'00'